# მიშა აბაიაძე

დაბადებული ვარ ქ. თბილისში, 1980 წლის 18 თებერვალს. ვარ დაოჯახებული, მყავს ორი შვილი. გავლილი მაქვს ლიდერთა სკოლის პროგრამა მანჩესტერის უნივერსიტეტში. დღეისათვის ვემზადები სადოქტორო ნაშრომის დასაცავად მას შემდეგ, რაც დავამთავრე ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი და მომენიჭა წარჩინებული ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი. ვარ სერთიფიცირებული აუდიტორი და პროფესიონალი უძრავი და მოძრავი ქონების შემფასებელი.

მაქვს 20 წლიანი გამოცდილება პროფესიული მომსახურების და პედაგოგიური საქმიანობის სფეროში, მათ შორის:

- 7 წელი- აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, Moore abc (ყოფილი Morison Georgia, LLC), დირექტორი/პარტნიორი.
- 5 წელი - აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, UBC International, LLC; სპეციალისტთა გუნდის წევრი და ლიდერი; სხვადასხვა თანამდებობები;
- 8 წელი - საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PKF UBC Services, LLC, აღმასრულებელი დირექტორი / პარტნიორი; 40 თანამშრომლის ხელმძღვანელი;
- 5 წელი - პროფესორის ასისტენტი - პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროფესიული კარიერის მანძილზე წარმატებით ვუძღვებოდი აუდიტორულ, იურიდიულ-საგადასახადო, საშემფასებლო, საინვესტიციო, კორპორატიული განვითარების და სხვა ბიზნეს-საკონსულტაციო პროექტებს როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ბიზნესის დაკვეთით.

ვარ შემდეგი პროფესიული ორგანიზაციების წევრი:

- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის საწევრო კომიტეტის თავმჯდომარე (2010–2016, www.gfpaa.ge);
- საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის წევრი და ამავე ფედერაციის ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტის თავმჯდომარე (2016–2020, www.gfpaa.ge);
- საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა საზოგადოების პირველი ვიცე პრეზიდენტი და საბჭოს წევრი (www.ivsg.ge);